როგორც ცნობილია, 2009 წლის აპრილში შეურყვნელი, მოციქულებრივი მართლმადიდებლური სწავლების დამცველთა და მიმდევართა მიერ გავრცელდა ანტიეკუმენისტური მიმართვა, კონვენცია, „სარწმუნოებრივი აღსარება ეკუმენიზმის წინააღმდეგ“. იგი მამხილებელია ყველა იმ „მართლმადიდებლისა“, რომლებიც არა მხოლოდ დიალოგებში მონაწილეობენ, არამედ თანალოცულობენ მწვალებლებთან ერთად. სამწუხაროდ, მათ რიგებს კონსტანტინეპოლის პატრიარქი, ბართლომეუსიც განეკუთვნება, რომელიც თანდათან მართლმადიდებელთა მხრიდან უნიატური და ეკუმენისტური მოძრაობის ავანგარდში ჩადგა. მისი ასეთი მოღვაწეობის შესახებ ჩვენ მომავალშიც გამოვაქვეყნებთ მასალება, ამჟამად კი გთვაზობთ პატრიარქ ბართლომეუსის გამოხმაურებას აღნიშნულ კონვენციასთან დაკავშირებით, რომელიც დაიბეჭდა ბერძნულ ჟურნალ ΠΑΡΑΚΑΤΑΘΗΚΗ-ში. წერილიდან აშკარად ჩანს პატრიარქ ბართლომეუსის დემაგოგიური მიდგომა, – იგი ყურადღებას ამახვილებს მწვალებლებთან დიალოგზე, და არაფერს ამბობს თანალოცვასა და თანაზიარებაზე, რის საწინააღმდეგოდაც, ძირითადად, მიმართულია ხსენებული კონვენცია. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დიალოგები მწვალებლებთან იმ ფორმატში, რომელსაც დღესდღეობით ადგილი აქვს სხვადასხვა თავყრილობებზე, მიმართულია არა მწვალებელთა სამხელად და ჭეშმარიტების დასამოწმებლად, არამედ მიზნად ისახავს კომპრომისებისა და კონსენსუსების გზით ერთობის მიღწევას, რასაც მივყვართ თანალოცვისაკენ, თანაზიარებისაკენ, უნიისაკენ, ეკუმენიზმისაკენ თუ პანეკუმენიზმისაკენ.

* * *

ΠΑΡΑΚΑΤΑΘΗΚΗ

ΔΙΜΗΝΑΙΑ ΕΚΔΟΣΙΣ ΤΟΥ ΟΜΩΝΥΜΟΥ ΣΙΛΛΟΓΟΥ*ΣΕΠΤΕΜΒΡΙΟΣ-ΟΚΤΩΒΡΙΟΣ2009*ΤΕΥΞΟΣ68

მსოფლიო პატიარქ ბართლომეოსის ეპისტოლე (გვ. 3-4)

ათენისა და სრულიად საბერძნეთის მთავარეპისკოპოსო, უნეტარესო, ქრისტეში ერთობ საყვარელო და სანუკვარო ძმაო, ჩვენო თანამწირველო, უფალო იერონიმე, საბერძნეთის წმ. სინოდის თავმჯდომარევ. მოგესალმებით თქვენდამი დიდი პატივისცემითა და ქრისტესმიერი ძმური სიყვარულით.

მსოფლიოს საპატრიარქოს ცნობით, გავრცელდა ტექსტი, სათაურით „რწმენის აღმსარებლობა“ (წერილის სრული სათაურია „რწმენის მხურვალე აღმსარებლობა ეკუმენიზმის წინააღმდეგ“ – ა.უ.), რომელსაც ხელს აწერენ როგორც მღვდლები, ბერები და ერის ხალხი, ასევე საბერძნეთის ავტოკეფალური ეკლესიის მიტროპოლიტები, რომლის თანახმადაც სახეზეა

აშკარა მცდელობა მართლმადიდებელი მორწმუნეების გამიჯვნა „მართლმადიდებლური რწმენის აღსარებისაგან“. ფაქტია, რომ ამ ღალატს თავად შემდგენლები არ იცნობენ.

ყოველივე ამის გამო, ვინაიდან მსოფლიო საპატრიარქო სერიოზულ პრობლემებს აწყდება, სინოდმა გადაწყვიტა თავისი დამოკიდებულება შემდეგი სახით გამოხატოს:

ცნობილია, რომ დიდი ხანია არსებობს და ძლიერდება, განსაკუთრებით კი საბერძნეთის ეკლესიაში, ზილოტური ტენდენციები, რომლებიც დროდადრო საომარ მდგომარეობებს ამყღავნებენ როგორც თეოლოგიური დიალოგების ჩატარებისას, ასევე მართლმადიდებლური ეკლესიის სხვა სარწმუნოების წარმომადგენლებთან შეხვედრისას.

ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბევრი მათგანი ფანატიკურ, არაღირსეულ ხერხებს მიმართავს, ამის გამო, არ გვსურს მუდმივად მოგვმართავდნენ, თუნდაც საქმე ეხებოდეს უბრალო კრიტიკას, აღარაფერს ვამბობთ უწესოზე და უგვანოზე.

ახლა კი გადავიდეთ მეორე საკითხზე, კერძოდ „აღმსარებლობაზე“. აქ, გარკვეულ თავისებურებებს ვაწყდებით, რაც ჩვენში შფოთის მიზეზი ხდება.

ა) ტექსტი ცნობილია, სათაურით „რწმენის აღმსარებლობა“, რაც გარკვეულწილად იდენტურად თუ არა, მსგავსად მაინც შეიძლება ჩაითვალოს უკვე არსებული სხვა ოფიციალური ტექსტისა - „რწმენის აღიარება“, დამტკიცებული წმ. და მსოფლიო სინოდის მიერ, ან სხვა ტექსტისა „აღიარებანი“, რომელსაც ხელს აწერენ პეტრე მოგილა, დოსითე იერუსალიმელი და ა.შ. ეს უკანასკნელიც სინოდის მიერაა დამტკიცებული. ხოლო რაც შეეხება ამ „აღმსარებლობას“, არავისგანაა დამტკიცებული და შესაბამისად განსხვავებული ტექსტების იდენტური სათაურები მორწმუნე მსოფლიოში დიდ გაუგებრობას იწვევს.

ბ) ამ „აღმსარებლობის“ ერთ-ერთ პუნქტში, რომელიც განცხადების სახისაა, ვკითხულობთ შემდეგს: ყველას, ვისაც კავშირი აქვს სხვა სარწმუნოების წარმომადგენლებთან და მათთან ერთობლივ ლოცვებში იღებენ მონაწილეობებს, ავტომატურად თავს ეკლესიის მიღმა აცხადებენ. ეს ნიშნავს, რომ ყველა პატრიარქი თუ სხვა მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარი, რომლებიც წმ. სინოდის მიერ არიან დადგენილნი, მონაწილეობენ რა მსგავსს შეხვედრებსა და დიალოგებში, ავტომატურად ეკლესიის მიღმა რჩებიან ! ! !

გამოდის რომ ამ გზით „აღმსარებლობის“ ხელმომწერნი, ჩვენ ყველას ეკლესიის გარეთ, ე.ი. სქიზმატებად გვაცხადებენ, მაშინ გაოცებას იწვევს ფაქტი – თუ, მათი თქმით, ჩვენ „ეკლესიის გარეთ“ ვიმყოფებით, მაშინ რატომ არ შეწყვიტეს ჩვენთან საიდუმლო კავშირი?

გ) შფოთს უფრო მეტად შემდეგი ფაქტი აძლიერებს; „აღმსარებლობას“ ხელს აწერენ საბერძნეთის ავტოკეფალური ეკლესიის სხვადასხვა მღვდელმთავრები. გვინდა გვწამდეს, რომ ყოველივე ეს მღვდელმთავრებმა გაუცნობიერებლად, გაუაზრებლად მოიმოქმედეს, რადგან ამ გზას მართლმადიდებელი იერარქიების სქიზმისკენ მივყავართ, ვინაიდან მართლმადიდებლური ეკლესიის სინოდის გადაწყვეტილება არ უარყოფს სხვა სარწმუნოებებთან შეხვედრის საკითხს.

თქვენო უნეტარესობავ!

სხვა სარწმუნოების მიმდევრებთან შეხვედრის საკითხი, (რომელშიც თეოლოგიური დიალოგები მოიაზრება) არ არის კონკრეტული ეკლესიისა თუ პიროვნებების მიერ დადგენილი, არამედ როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს არის ერთსულოვანი გადაწყვეტილება III წინასინოდალური მსოფლიო მართლმადიდებლური კონფერენციისა (1986), რომლსაც გამონაკლისის გარეშე, მხარს უჭერს ყველა მართლმადიდებლური ეკლესია და რომელშიც ჩვენი, საბერძნეთის ეკლესიაც შედის და რომელსაც ხელმოწერითა და დანართით ეთანხმება რომეოკათოლიკური ეკლესიაც.

ჩვენში ღრმა მწუხარებას იწვევს ის ფაქტი, რომ ყოველივე ზემოთქმული „აღიარების“ ხელმომწერთა მიერ დავიწყებულ იქნა. საბერძნეთის ეკლესია განუსჯელად, უპირობოდ იღებს „რწმენის აღმსარებლობის“ ტექსტის გავრცელებას, რომლის მიხედვითაც, ყველა მონაწილე სხვა სარწმუნოების წარმომადგენლებთან შეხვედრის გამო ეკლესიის მიღმა ცხადდება და რომელსაც ხელს აწერენ მართლმადიდებელი ეპისკოპოსები. ეს ფაქტი პრობლემებს იწვევს არა მხოლოდ სამწყსოში, არამედ სხვა მართლმადიდებლურ ეკლესიებთან ურთიერთობაშიც.

აქედან გამომდინარე, თქვენს უნეტარესობას და პატივცემულ იერარქს მხურვალედ შევთხოვთ, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, უმოკლესს ვადებში, „რწმენის აღიარებას“ სათანადო ადგილი განეკუთვნოს, სასულიერო პირებმა კი, რომელებმაც ამ ტექსტს ხელი მოაწერეს, გაანალიზონ მოსალოდნელი საშიშროება, რომელიც ეკლესიის ერთობის საკითხს საფრთხეში აგდებს.